

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: ვარკეთილ
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрозда“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ხომალტი „დროებისა“ დღის 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი ნიშნის სტრიქონ-
ებისა ითვლება მთვანე დაჭიმული ხეტილის გე-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწავრებს და შეამო-
წესებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯებელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბუჯებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

შინაური ქრონიკა

ღადგა ზაფხული და იშვიათად
ნახავ რომელიმე გაზეთის ნომერს,
რომ წყალში ვისიმე დაღრჩობა არ
ეწეროს. მხლაც გაზეთი «ნორ-დარი»
გვაცნობებს, რომ მესტამბე მართა-
ნიანის დის-წულეები წასულან მტკვარ-
ზედ და ერთი მათგანი 17 წლის ყმა-
წვილი წყალს წაულია. ბევრი დღე-
ვანდღამდის ვერ უპოვნიათ. ნუ თუ
არაფერი მოგვევარება, რომ ამდენი
უბედურება არა ხდებოდეს?

ბუშინ ჩვენის გაზეთის განცხა-
დებდამ მკითხველი გაიგებდა, რომ
პრტემ ბალუსტოვს 4 წლის ქალი
დაჰკარგვია. პარგი იქნება, რომ სა-
ზოგადოებამაც და პოლიციამაც მო-
ნაწილეობა მიიღონ ამ ბავშვის პოე-
ნაში, თორემ, ვაი, თუ საცოდავს
ურიებს დააბრალონ და ერთი დავი
დარბა ასტყდეს. მათამა სთქვა, რომ
რაც კი დაკლეს, ყველაფერი ზედ
წამაკლესო. სწორედ ასე მოსდით
საწყალს ურიებსაც: ბავშვი არ დაი-
კარგება, რომ საცოდავ ურიებს არ
დააბრალონ, თუმცა იგინი ამ საქმე-
ში არც სულით და არც ხორციით დამ-
ნაშავენი არ არიან.

ბაზეთს «ძვეკაზს» აცნობებენ,
რომ სექტემბრის დამლევს ობილის-
ში მოვლიან სახალხო განათლების
სამინისტროს მსწავლელთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ა. ნ. ბეორგიევსკის,

რომელსაც საგნად აქვს რევიზია
უყოს ძვეკაზის სასწავლო ოლქს.

ობილისის ოლქის სასამართლოს
აპელაციის განყოფილებამ ამ თვის 11-ს
განიხილა ბ. შარანგოზიშვილისაგან
მოქმედებით შრისტეფორე შაიროვის
შეურაცხყოფის საქმე და დაამტკიცა
მოპრიგებელი მოსამართლის გადა-
წყვეტილება, რომლითაც, როგორც
მკითხველმა უწყის, შარანგოზიშვილი
გამართლდა.

შოთილამ გვწერენ: «ბუშინ,
ივნისის 10-ს, რიონის კუნძულიდამ,
საცა აწყვიტა სამხედრო მასალები,
თორმეტ სალდათს გამოჰქონდა ერთს
ფართო-ქერიან ნაფეხ სხვა-და-სხვა მა-
სალები, ღირებულო, როგორც ამბო-
ბენ, 18 ათას მანათად. ნავი დაეშვა
ზღვისაგან და როდესაც დაუახლოვე-
და ვოგჯალისა და ქალაქის შუა გად-
ბულ ხიდს მომეტებული წყალის ძა-
ლამ მიახეთქა იგი ხიდის ბოძს. ნავი
გატყდა და მასალები სულ დაიღუპა.
ძაცები, როგორც იყო, გადურჩნენ
სიკვდილს.»

შოთილამვე გვწერენ, რომ აღ-
გილობრივ ცირკს ორჯერ გაუმარ-
თავს წარმოდგენა ღარიბთა და გა-
ჭირებულთა სასარგებლოდ, — ერთჯერ
საქალაქო სასწავლებლისა და მეორე-
ჯერ ქალაქის ღარიბ მოსახლეთა-
თვის.

პიატიგორსკის საზოგადოება,
რომელიც შემწევობას უჩენს შეუძ-
ლებელ სწულთა, — ამ ქალაქის

სტანციის ოთახში რომ შევედი, იქ
დამხვდა ვიღაც ახალ-გაზდა კაცი,
რომელიც საუზმეს შეეპტეოდა. მე
დავდე ჩემი ჩემოდანი კუთხეში, პალ-
ტო გავიხადე, დავჯექი და პაპიროზის
წევა დავიწყე.

— თუ არ ესტდები, თქვენ სტუ-
დენტი უნდა იყოთ? — მომიბრუნდა
ახალ-გაზდა კაცი.

— დიალ, არ სცდებით.

— შეიძლება შევიტყო, რომელს
ნაწილზე სწავლობთ? განაგრძო მან.

— მქიმობის ნაწილზე.

— პარგი საქმე! ჩაფიქრებით წარ-
მოსთქვა ჩემმა მოსაუბრემ.

მე დავაკვირიდი მას. მის გამხდარ,
ფერ-მკრთალს სახეს ეტყობოდა რა-
ღაც დაღლილობა, რომელიც სრუ-
ლიად არ ეთანხმებოდა დიდრონს,
შავს, მბრწყინავს თვალებს.

— არ შეიძლება დამეწვიოთ? — შე-
მებატიყა ახალ-გაზდა კაცი, — მშვენიე-
რი თევზია! ღვინოც საუცხოვოა,
წმინდა კახური.

საქმელზე უარი ესთქვი, მაგრამ

მადნის წყაროებით მოსარგებლეთ—
შუამდგომლობსო მმართველობის წი-
ნაზე, რომ წვერნი ამ საზოგადოები-
სა შერიცხულ იქმნენ სახელმწიფო
სამსახურში და ნება ჰქონდეთ მათ
განსხვავებულის ნიშნის ტარებისა. ამ
ჟამად საზოგადოებას შეუძენია სა-
კუთრებად უძრავი მამული, სადაც
მოუწყვია საავადმყოფო 200 კაცისა-
თვის.



«მეციო ნიქსა გზა ფართო
თაყვანის ცემა ღირსებას,
კაცს აძლევს მხოლოდ ნიქს ზენა
და არა გვარი-შვილობას.»
გ. ობოლასია.

შუანასკნელი მაგალითები სრულს
საფუძველს გვაძლევენ გულახდილად
აღვიაროთ, რომ ამ უკანასკნელს ხა-
ნებში ჩვენი თავდაზნაურობა თან
და თან წარმატებას იჩენს და უფრო
ღირსეულად შეიარაღებული გამოდის
საზოგადო საქმეების საწარმოებელ
ასპარეზზედ. თან-და-თან იცილებს
თავილამ იმ უზრუნველ არხეინობას
საზოგადო საქმეებში, რომელსაც
დღემდის ეწამებოდნენ მას, თან-და-თან
იღვიძებს, იზორებს გონების თვლი-
დამ იმ მანქანების ღრუბელს, რომელ-
საც გრძნეულებისა და ბოროტების
კერაები ყოველი საზოგადო საქმეების
წარმოების და აღრჩევის დროს აფა-
რებდნენ მას. სხვას რომ თავი დავანე-
ბოთ და მარტო წლევანდელი თავად-

ღვინო კი დავლიე, რადგან დიდი ხა-
ნი იყო ჩვენებური ღვინის გემო არ
მენახა.

— სად მიბძანდებით? მკითხა მან.

— აქ ახლოს, — სოფელში.

— ბედნიერი კაცი ხართ! ახლა
სოფელში ცხოვრებას აღარაფერი სჯო-
ბიან. მე ეს-ეს არის სოფელიდამ დავ-
ბრუნდი, ერთის ჩემის მეგობრისას
სტუმრად ვიყავი, — სოფლის მასწავ-
ლებლისას.

— მხლა სად მიბძანდებით? დავე-
კითხე მეც.

— მხლა?... ჰმ! .. დაბეჯითებით
ვერ გეტყვით... ხვალინდელი დღე
მირჩევს სად წავიდე, — ობილისში თუ
ჭუთაისში, — მიპასუხა მან გულ-წრფე-
ლად.

ამ სიტყვებზე მე გაკვირვებით შევ-
ხედე მას.

— თქვენ გაგაკვირვათ ამ პასუხმა
განა? შთუოდ ჰფიქრობთ, რომ გიყს
გარდვიკიდო .. თქვენ მართალი ხართ.
ჯერ თუმცა გიყი არა ვარ, მაგრამ

აზნაურობის ყრილობა და მათი მოქ-
მედების ნაკოფი აღენიშნოთ, ისიც
საკმაო დამამტკიცებელი საბუთია
ჩვენის შენიშვნისა. ამ არჩევნის შედე-
გი გონებითი ბრძისათვისაც კი ცხა-
დად დასაძახია: ჩვენს თავდაზნაურო-
ბას კიდევ ჰქონია საკმაო გონებითი
ძალა, შესძლებია თავის საზოგადო
საქმეების რიგინად წაყვანა და ღირ-
სეული პირების ცნობა და დაფხვება,
თუკი მას რომელიმე ძლევა მოსილი
ბოროტება არ გადაელობება წინ და
არ შეუშლის ხელს და არ გაუძღვება
ბოროტისა და დამლუპელის გზით. წლე-
ვანდელ საგუბერნიო ყრილობის შე-
დეგს უფრო გულის ფანტკალით მო-
ვლოდენ ყოველი ჩვენის ქვეყნის და
სამშობლოს კეთილ წარმატების მო-
სურნე პირნი, რადგანაც საზოგადოე-
ბის მოწინავე და გონება განსნილს
წრეს ეხლა უფრო თავისუფლად
დარჩა სამოქმედო ასპარეზი, რადგან
მის წინააღმდეგ მიმართული ძალა
დღეს შესამჩნევად დათრგუნვილია.
ბევრი ამბობდა, აი, ეხლა გამორჩდება
ჩვენის თავდაზნაურობის გონებითი
სიმაღლე, გამჭირახობა, და საზოგადო
საქმეზე გულ-შემატკიცრობაო, ენახოთ
ვის აღირჩევენ, ვის, რა ღირსების მე-
ქონ კაცს ჩააბარებენ მოთაობა-
საო. აი, მარტო ეს კითხვები გესმო-
დათ გარეთ თუ შინ მთელ ამ თვის
განმავლობაში. ბევრი წინანდელის
მაგალითებით სასო-წარკვეთილი ამბობ-
და: საქმე ისევ ძველებურად წავა, ისევ
უღირსი ვინმე დაიჭერს წინა მძღოლის
საყარძელსო და სხვა. ბევრისაგან

შეიძლება ჩემმა სენმა სიგიჟემდე მი-
მიყვანოს...

მე უფრო-და-უფრო მეზრდებოდა
ცნობის მოყვარობა. ამ კაცის გულ-
წრფელობა სწორედ საკვირველი რამ
იყო.

— მე ვხედავ, განაგრძო მან, —
რომ თქვენ თან და-თან გეზრდებათ
სურვილი შეიტყოთ ჩემი ვინაობა.
მე ვხლავ დავაკმაყოფილებ თქვენს
ცნობის-მოყვარეობას. შეიქრობ, რომ
თქვენთვის, როგორც ექიმისთვის, სა-
ინტერესო იქნება გაიგოთ ერთი უც-
ნაურის სენის თვისება, რომელიც,
უეჭველია, არც ერთს საექიმო სა-
ხელმძღვანელოში არ შეგხვდებოდათ.
მს უცნაური სენი მე მქირს. არ გე-
გონოსთ, რომ გული ან ფილტივი
მტკიოვდეს. არა! ჩემს ავადმყოფო-
ბას ფესვები უფრო ღრმად აქვს გად-
გმული, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მისი
მიზეზის შეგნებისთვის, ვგონებ, საჭი-
როა დაწერილებითი «ანამნეზი», რო-
გორც თქვენი ექიმები ავადმყოფის
ცხოვრების აღწერას ეძახით. ცოტა

ყბრალო აშაკი

ქ. უაბ.
„Es ist eine alte Geschichte,
Doch bleibt sie immer neu.“
Heine.

მე მოვიდიოდი რუსეთიდან სამშობ-
ლოში ივნისის პირველს რიცხვებში.
პარგი ხანია, რაც ის არ მენახა, და
წინ-და-წინ ესტკებოდადი უცხო სურა-
თებით, რომელნიც უნდა გარდაეშა-
ლა ჩემთვის საქართველოს უხვს ბუ-
ნებას... ხუთის დღის მგზავრობის
შემდეგ მე ბოლოს ვიხილე ჩემი ძვირ-
ფასი მხარე. ნეტარების გრძნობით
ავსილი გული მაგრად მიცემდა... მა-
ტარებელმა სწრაფად მიმარბნინა ს—
სტანციანზე. რადგან მხოლოდ მეორეს
დღეს ვადიოდა ომნიბუსი, რომელსაც
უნდა წავეყვანე, მე ძალა-უნებურად
დამე ფოსტის სტანციაში უნდა გამე
თია; რაღა ვაეწყობოდა, — დავემო-
ჩილე ბედს.

ესეც გესმოდ: დედა, რა ღმერთი გასწყრა, თითქო ბედაურები სულ ამოგეწყვეტოდეს და... ნდომულობენ ბედაურების ალაგის დაქვრასო!

მაგრამ სანუგეშოდ ჩვენდა ისე არ წავიდა საქმე როგორც უმეტესობა ჰფიქრობდა: ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოაფინა ნიმუში თავის მალაღ-გონიერებისა და შორს-მხედველობის. აღმოიჩინა თავის წინამძღოლად ისეთი მალაღის ღირსების მექონი პირი, რომლის უკეთესს ვერც ერთი მამულის მოყვარე და ჩვენი თავად-აზნაურობისთვის გულ-შემატკივარი პირი ვერ ინატრებდა. ღიად, ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიანდო თავისი წინამძღვრობა ჩვენს ღირსად სახელ-დამსახურებულს ბ-ნს ღმიტრი ივანეს-ძეს შიფიანს. მინც კი იცნობს ბატონს შიფიანს (და არეცი ვინ იქნება ისეთი ქართველი ჩვენში, რომ შორი-დამ მანც ვერ იცნობდეს ამ დაუღალავ მოღვაწეს), ვინც კი იცნობს მის მალაღს და პატიოსანს ზნეობასა და მდიდარს ნიჭს და გონიერებას, მისს ხანგრძლივ და დაუღალავ მოღვაწეობას მომართულს სამშობლოს წარმატებისადმი; ვისაც კი შესძლება აწონ-ვა და დაუასება მისი მოღვაწეობისა და მალაღი გონების ნაწარმოებისა, ის, რასაკვირველია, ჩვენთან ერთად იღდესასწაულებს ამ სასიხარულო მოვლენას და მიულოცავს. წრფელის გულით ჩვენს თავად-აზნაურობას ესეთის ღირსეულის და ადგილის შესაფერი პირის აღჩვენას.

ბატონს შიფიანს რომ ეჭირვებოდეს, შეგვეძლო ორიოდ სიტყვით მოგვემართა მისდამი და აგვეხსნა, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი თავად-აზნაურობა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მისთვის რიგიანს წინამძღოლს... მაგრამ რა საჭიროა მხილვება ისეთის პირისთვის, როგორც არის ღმიტრი შიფიანი. მან ეს ყველაფე-

შორილამ მომიხდებდა ამბის დაწყება, მაგრამ არა უშავსრა; იმედია, მინც მომიხმენთ.

— ღიად, დიად, დიდის კმაყოფილებით! მიუფე მე.

— მაშ კარგი! ჯერ-ჯერობით ღვი-ნო დავლიოთ. ღრო კიდევ ბევრი გვაქვს!

მე ამ წინადადებაზე უარი განვატყხადე; ჩემმა მოსაუბრემ-კი მადიანად გადაჰკრა ერთი სტაქანი «წმინდა კახური», გაისწორა თმები და დაიწყო შემდეგი უბრალო ამბავი:

«იმ სოფელში, საცა მე დავიბადე, ჩვენს ახლოს სცხოვრებდა ერთი ქვრივი დედა-კაცი. მისი პატარა ქოხი იღვა მალლობზე და გადაჰყურებდა ქვეშ გაშლილს მინდვრებს, რომლებზედაც გველივით მიიკლავნებოდა სარკესავით ანკარა მდინარე. ისრით გადახურული და ისრითვე დაბურულის დაწულის კედლებით ეს ქოხი ჰგავდა მრავალს სხვა ქოხებს, რომელთაც ხშირად შეხედვით ჩვენში.

რი იცის, და რაც შესაძლებელია, ეცდებოდა ყოველივე ღირსეულად შეასრულოს.

რა საჭიროა გავახსენოთ ისეთს პირს მამულის სიკვარული და სამსახური, რომელსაც მთელი თვისი ვრცელი სიცოცხლე მისს ერთგულებაში გაუტარებია და რომელიც ამ მოხუცებულების დროსაც ერთი საუფეთესო მაგალითის მაჩვენებელია ყოველივე ღირსეულის ქართველისა. სრული იმედია, ექვს აქ აღვნიშნავ აქვს, რომ ჩვენი ღირსეული მოღვაწე როგორც სხვა ასპარეზზე, ისე ამ უკანასკნელზე დაამტკიცებს თავის მალაღ ნიჭიერებას, მიუსუსტებელ ენერგიულს მოღვაწეობას ნაკისრის მოვალეობის ღირსეულად შესრულებისათვის და მით დაავიწყებინებს თვის შრომასა და მოღვაწეობას ჩვენს ქვეყნისადმი. ჩვენ აღტაცებულის მხიარულებით ვულოცავთ ჩვენს თავად-აზნაურობას ასეთი საიმედო წინამძღოლის შეძენას და ვინატრით—კიდევ ისე აესრულებინოს ბატონს შიფიანს ეს თვისი მალაღი მოვალეობა და დაეცვას ჩვენს თავად-აზნაურობის ღირსება და პატივი, როგორც მოველით ჩვენ მხოლოდ ღმიტრი შიფიანისადგან.

ქაიხოსრო კულაჯანი.

მასის 28 სოფ. ტოლა.

„დროებას“ კომპრომისი

ივრის ხმოვა, თბათკის 8-ს. თუმცა აპრილის და მაისის ხანგრძლივი გოლგის შემდეგ რამდენჯერმე მოვიდა წვიმა, მაგრამ კირხანულს სრულებით არა არგო-რა. მართალია სიციხით შეწუხებული ტყე და მინდორი წვიმამ გააგრილა, საძოვარ-ბალახმა ცოტ-ცოტად წამოიწია, მაგრამ ივნისის გოლგამ ისე გადაახმო ხელმო-

«აი, ამ მარტივის შენობის პატრონი გახლდათ ქვრივი სალომე ლასხაძისა. წინად, როცა ქმარი ცოცხალი ჰყავდა, მას ფიქრობდა არ მოსვლია, რომ ოდესმე ამ ღარიბს ბინაში თავს შეიფარებდა: მაშინ მის ადგილას ყავრით გადახურული საქმოდ სრული ხის სახლი იდგა; ირგვლივ სუფთა შეღობილი ეზო ერტყა; ეზოში სახლის გვერდით ლამაზად გაშენებული ბოსტანი მოსჩანდა; ცოტა მოშორებით ორი პატარა ნალია, რომლებშიაც სიმინდი ყოველთვის ბლომად იყო, საქონელიც საქმოდ ჰყავდა მაშინ სალომეს... მართის სიტყვით კარგად გაწყობილი ოჯახი ჰქონდა. იმის ქმარი ივანე ლასხაძე შრომის მოყვარე და პატიოსანი გლეხი იყო. თავისი გულ-ღია, მართლის ხასიათით, თავისი დაუტყობელი შრომით, ურომლოთაც მას თითქმის ერთს წუთსაც გაძღვდა არ შეეძლო, მან დამსახურა სულყოფილი მეზობლების პატივის ცემა და სიყვარული. ამათს თვალში ის იყო ნამდვილი

რედ, რომ მოსავლის იმედი დაგვიკარგა.

სამწუხარო სურათს წარმოადგენენ ის მინდვრები, რომელნიც წინდ ათეულებით და თივის ძირებით იყო ხოლმე ვაჭვილილი, რადგანაც დღეს ის მინდვრები ისე არიან გადამწვარი, რომ მუჭაზედ დასაქრელი ბალახი არ გაითბება და დღით-ღამით ათეული ძნა არ აიჭრება.

რასაკვირველია, უბალახობა აგრესამწუხარო არ არის ჩვენთვის, როგორც უჭინახულობა. შანები, ქვრები რომ კარგები იყვენ—საქონელი ბზითაც იოლად წავა. მაგრამ სამწუხარო და უმედურობა ის არის, რომ ჭინახულიც გადახრუკა და გააფუქსავატა გოლგამ.

რაკი დინახეს ჭინახულის უკან გაბრუნება, ბევრმა შერევა შიგ საქონელი და მთლად მოაძოვა. აგრეთვე სამწუხარო სანახავი არის გუთნის საქონელი. ხუთი ექვსი ვერსის მანძილზედ დაუდით საქონელი საძოვრათ, მაგრამ მინც კუქს ვერ იძობს და ისევე ისე მშვირებს მიერეკებიან მებრეები გუთანთან, რომ გააგრძელონ ხენა. ბევრმა კიდევ გამოუწო გუთანნი, რადგან ველარც საქონელმა შესძლო მშვიერი მუტლით მუშაობა და აღარც თითონ ეგულეობდათ სათესლე საკუქნაში.

ბევრს პური ეხლავე დააკლდათ. მბილისში ფუთობით ყიდულობენ ფქვილს ის ოჯახის პატრონები, რომელთ ოჯახშიაც ოცდა ხუთამდე სულია. შესაბრაღისი როგორ არ არის ამ გვარი ოჯახი; პური რომ ეხლა აკლდეს—წელს რა უნდა ქნან? გამორჩენა არსაით არის. საქონელს ძალ-ღონე აღარა აქვს, რომ კაცი კირხანედ წავიდეს. მაგრამ ან ქირაობა სად არის? თუნდ რომ იყოს ქირაობა, საქონელს გზაზედ რა უნდა აკამოს? მართი ქირის ოდენა ფული კიდევ სხვა დაადოს მეურემე გზაზედ—საქონელს ვერ გა-

გლეხების წარმომადგენელი მაგარის დაუღალავის მკლავებით და შემბრალებელის, პატიოსნურის გულით. მაგრამ უწყალო სიკვდილმა მალე მოაშორა ივანე ცოლსა და ერთის წლის ვაჟს... სალომე დაქვრივდა..

«ის მაშინ ოცის წლის ქალი იქნებოდა... ისევე უნდა ეშრომნა. მართლაც, სალომე შრომობდა როგორც შეეძლო, თავად-აზნაურთ ოჯახებში დადიოდა და ხელ-საქმეს მოულობდა: საქსოვს, საკერავს, სარეცხს. ამ შრომისთვის ხან ფულს მიიღებდა, ხან სიმინდს, ხან ღვინოს და სხე. ამ გვარად გაატარა მან ხუთა წელი, სანამდის შეილი არ წამოეზარდა. ახლა პატარა ლუკა შექვლებისამებრ ეხმარებოდა დედას: ფიჩხს უზიდავდა, ძროხას მოუდენიდა საძოვრიდამ, საქონელს ამწყვედევდა საღამოობით... ამ რიგად მიდიოდა დედის და შვილის ცხოვრება...

«მართს საღამოს სალომე მეზობლებისს უნდა წასულიყო.

— ღაჯექი ცეცხლის პირას და

მოჰკვებავს. შულიც რომ ბევრი იყოს, გასასყიდს ვერ იშოვნებოდა დასყიდ, არის, ახალის ხსენება—ჩემსულს კარ არის. თუ სადმე სარწყავები და ყორულები იყვენ, იქაც სრულებით გაახმო გოლგამ აი, სწორედ ამ გვარ მდგომარეობაში არიან ჩაცვიფრულნი როგორც ხალხი აგრეთვე მათი საქონელი.

— შალახობას და უჭინახულობას ჯანი გავარდეს, გაიძახიან ყველა სოფლებში გლეხები; ნეტა ის რალაცა «ზასტავო» კი არ გაეჩინათ და ისეც დაღუპული და დაღარბებული ხალხი არ დაველუწენითო. შვიდ მანეთად რომ ძახეთიდგან ქირა წამოვილოთ, ხუთი მანეთი უნდა ზასტავოში მივსცეთო! რალა ბაყი ეჭირება ჩვენს ხალხს თავად უფულობა, უჭირაობა, უბალახობა და უმოუსაველობა! რალა ლუქის გაწყვეტა გვინდაო ისეც ჯერ ჯერობით ლუქმა გაწყვეტილები ვართო. რალა წლეულს გამოიგონეს ბაყი ჩვენგანვე ვაკეთებულს გზაზედო, რომ თითქმის ყველა კუთხეებში მოუსაველობას და უფულობას უჩივიანო. აი, რას იძახიან ყოველ დღე გლეხები.

მე ჩემი თვლით ვნახე «ზასტავო-გან» დაზინებული გლეხები. აი, საქმე რაში მდგომარეობდა: როგორც წელან მოგახსენეთ, პური ბევრს ეხლავე აკლიათ. (სხვათა შორის ერთმა ჩემმა მეზობელმა ჩალა ახალა საბძელს და წაილო ქალაქს გასასყიდად, რომ აღებული ფულით ფქვილი ეყიდნა და მშვიერი ოჯახი ჯერ-ჯერობით იოლად წავყვანა. მიახლოვდა თუ არა «ზასტავოსთან» ურემი, გამოცვივდენ მე-ბაყეები და მოსთხოვენ მეურმეს სამი აბაზი და რვა კაპეკი. მეურმეს გული გაუსკდა (არ იცოდა თუ საბაყო იყო გამართული), რადგანაც გროში ფული არა ჰქონდა. ბულ-გახეთქილი ეფიცება მეზაყეებს, რომ კაპეკი არა აქვს, მაგრამ ვინ შეიწყნარებდა იმის საჩივარს. რალას იქმოდა

სახლს ნუ დასტოვებ; მე მალე მოვალ,—უთხრა დედამ ლუკას და გასწია მეზობლისას.

«შემოდგომა იყო,—ოქტომბრის დასაწყისი. ხეები სანახევროდ გატიტლებულიყო და ძირს დაქრიოს, გამხმარს ფოთლებს ცივი ქარი აშრილებდა და შორს გადაჰქონდა.

«ლუკა დედის დარიგებისამებრ მოუჯდა გაჩაღებულს კრასს და მღერა დაიწყო. მისი ქორფა, წვრილი ხმა პატარა ზარის რეკასავით გაისმოდა მჭვირვალე შემოდგომის ჰაერში. მაგრამ უეცრად შესწყვიტა მღერა...

— ლუკა, ლუკა! შინა ხარ, ბიჭო? აქ მოდი რა გიჩვენო.

«ლუკამ იცნო ეს ხმა. ბავიდა გარედ და ნახა, რომ სახლის გვერდით მისი მეგობარი ნიკო უტდიდა. ლუკა მივიდა მასთან.

— აბა, ნახე, ლუკა! ბიჭი ხარ და გამოიცნობ, რა არის ეგ! შენს დღეში მგონი არც კი გენახოს; აი, მიწაზე გლია.

«ლუკა დაინხრა და დააკქერდა რა-

საწყალი გლეხი, მგონი, რადაცა დაე-
გირაგებინა და მიეცა ხვედრი ფული
მებაყვებისთვის. მართი ურემი ჩალა
გაეყიდა ორ მანათად. მართი აბაზი ბა-
კის ქირა მისცა, ორი შაურის საპო-
ნი მოუნდა ურემს, ექვსი შაური გა-
მოვლავდ, ექვსი შაური ხარის ნალი
სულ 1 მ. და 58 კ. მაშასადამე ხარჯს
გარედ მას დარჩა 42 კ. აბა, რითი
ეყიდნა ფქვილი საწყალს გლეხს?
ორი აბაზით? მანა რამდენ ფუთს
ი იღდა ორ აბაზად? მიერს ოჯახს
კი რამდენიმე ფუთი ფქვილის იმედი
ჰქონდა. ღაბრუნდა საწყალი გლეხი
ცარიელი ოჯახში, მაშინ როდესაც
მშიერ ბალებს ქალაქის გზისკენ
ცქერით თვალები დაწყდათ.

მეორე მაგალითი: მეორე გლეხმა
შეშა ჩაიტანა ქალაქში გასასყიდად;
გაქიდა თერთმეტ აბაზად. 70 კ. ტყის
ფული მისცა, 68 კ. გავლით გზისა,
გამოვლით 30 კ. ბაკის ქირა 20 კ.
ორი შაურის საპონი; სულ ხარჯი—1
მ. 98 კ., დარჩა ნალი 22 კ.; ოთხი
დღე მომცდარმა კაცმა და ყველა
ხარმა მოუტანეს მას 22 კ.

იქნება ბევრს კიდევაც გაუკვირდეს
და მკითხოს სად არის «ზასტაეო»,
რა «ზასტაეო»... ის «ზასტაეო», ბატო-
ნებო, რომელიც ამ სამი კვირის წი-
ნად აღმართეს ორხევის სტანციასთან
და გამეღელს როგორცა ურემ-
ზედ, ისე ცხენზე, ცხვარზე, ღორ-
ზე, ძროხაზე და ვირზე ბაჟს იღე-
ბენ. მისაც ფული არ ექნება რომ
მისცეს, იმან უნდა შაურის მა-
გივრად ერთი მანათის გირაო დას-
ტოგოს, თორემ გავლა არ შეიძლება.
მართი ოთახი სულ საყვერებით და
თოკებით არის სასე: ესენი გირაოში
არიან დატოვებულნი.

აგრე შეწყუბებული ხალხი რომ
ერთს ორს სოფელში იყოს კიდევ
არა უშავთ-რა, მაგრამ მთელი ობილი-
სის, ოვლავის და სიღნაღის მაზრე-
ბიდგან ამ გვარი საჩივარი ისმის.

ლაც ახირებულს ცხოველს, რომელიც
ჯერ მართლაც არ ენახა მს იო უ.
მას ოდნად გამოეყო მაგრძო თავი
და ფეხები თავის ჯავშნიდამ, მაგრამ
აჰ რა თუ არა ლუკამ ფენი, ის მა-
შინვე შიშისაგან დაიწურა და შეძერა
ისევ თავის ქერქში. ლუკამ დიდხანს
აბრუნა ეს უცნაური ცხოველი: ხან
პირაღმა დასდებდა, ხან ისევ გადმოა-
ტრიალებდა, თითქოს უნდოდა რო-
გორამე მისი აგვებულების ბუნება შე-
ეტყო. ამ დროს უეცრად ამოვარდა
საშინელი მძაფრი ქარი, რომელმაც
ნიკო კინალამ წააქცია, ლუკას კი
უქამრო პერანგის კალთა თავზე გა-
დააფინა.

ამ პატარა მეცნიერების გამო-
კვლევაში სალომეც მოუახლოვდა თა-
ვის სახლს. მაგრამ ვაი იმისთანა დახა-
ვას, რაც მან სანახავი ნახა! სახლის
გაღებულის კარიდამ და ყავრის სახუ-
რაიდგან უშველდებელი კომლის დრუბ-
ლები გამოდიოდა... სალომეს ეღვა-
სავეთ თავში რალაცამ დაჰკრა და ფე-
ხებამდე ტანში დაუარა.. მთელს მისს

ამ ბოლოს დროს, როგორც შე-
ვიტყუეთ მოთმინებიდგან გამოსული
ხალხი აპირებს თხოვნის მირთმევას
ვისთანაც ჯერ არს, რომ გზის ბაჟი
ჯერ-ჯერობით მოისპოს, რადგანაც
შიმშილობა ჩამოვარდება, ან თუ არ
მოისპობა, გადასახალი შემეცირდეს.
ღმერთმა ქნას, რომ ამ გვარი თხოვ-
ნა შეწყნარებული იყოს, თორემ ისეც
დაცემული მატერიალური მდგომარე-
ობა დაბალი ხალხისა, უარესი გახდე-
ბა.

ნიკო ლ—ქ.

წერილი რადამტორთან

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის
საშუალებით გულითადი მადლობა
გუქდენათ დროებით მცხოვრებს დ.
ჩოხატაურში მ. ბოტელმანს და ამავე
დაბაში მოვაკრეს მ. მეგრელიშვილს,
იმ ნივთიერი შემწეობისათვის, რომე-
ლიც ამათ აღმოუჩინეს რწმუნებულს
ჩემდამო სასოფლო სკოლას.

ჩოხატაურის სკოლის მასწავლებელი
ინგლისი 10-ს. წიოლაძე.
დ. ჩოხატაური.

უცხოეთი

ინგლისი. კონსერვატიულ დასის
გაზეთებმა სრულებით შესცვალეს კი-
ლო მასუჯან, რაც მათმა მხარემ გაი-
მარჯვა რაც სამინისტროს მეთაუ-
რად კონსერვატივები შეიქმნენ. «რუ-
სეთის სახემწიფო კაცებმა—ამბობს
კონსერვატიული Standard-ი—კარ-
გად იციან, თუ როგორ უნდა მოექ-
ცეს ინგლისი, სალისბიურის აზრით,
რუსეთის მისწრაფებას დაპრობითის
პოლიტიკისადმი. ღვინდამ მათ ისეთს
კაცებთან ექმნებათ საქმე, რომელთა
ენერჯია, სიმტკიცე ახალი ამბავი არ
არის მათთვის, ამიტომაც კვლავ აღარ

სხეულს თრთოლა დაწყებინა... მან
სიარულს მოუჩქარა, და ქმენით,
სულ-მეფუბული სახლის კარებს მი-
ვარდა... საწყალი სალომე... მთელს
მისს ქონებას, რაც კი სახლში მოე-
ძეოდა, ცეცხლი მოსდებოდა: კედელ-
ზე ჩამოკიდული ტანთ-საცმელი, ტახ-
ტი, ქვეშავები,—სულ, სულყველა-
ფერი უწყალო ცეცხლს თავის პირში
ჩაეგდო... სალომემ შეიხედა თუ არა
სახლში, ერთი საშინელის მწუხარე-
ბის ხმით შეჰკვილა: «შვილო ლუ-
კა!» და იქვე კარის წინ უგონოდ
დაეცა. ლუკას დაავიწყდა თავის მეც-
ნიერული გამოკვლევა, კუც, ახა-
ნავიც და გიჟვით მივარდა მიწაზედ
უძრავად დადებულს ღედას.

«ღედავ! ღედავ! არ გესმის?—ეუ-
ბნებოდა ბავშვი და ნელად ანძრედა,
თითქოს გაღვიძება უნდოდა; მაგრამ
გულ-წასულს სალომეს შვილის სიტ-
ყვები არ ესმოდა... მხლა კი შიშმა
მართლად მოიკო ლუკა,—გული
ამოუჯდა და ხმა მალლა ტირილი და-
იწყო. ამ დროს ერთმა ახლოს გამე-

მონდომებენ დაიყოლიონ დიდი ბრი-
ტანია დათმობაზედ და ეცდებიან,
რამდენადაც შესაძლებელი გახდება,
მალე დაასრულონ მოლაპარაკება.
მაინცა-და-მაინც ბევრს არც ჩვენ გა-
მოველით ახალის სამინისტროისაგან,
მაგრამ იმის იმედი კი გვაქვს, რომ ეს
სამინისტრო უფრო საკეთილოდ მო-
მართავს გარეშე პოლიტიკის საქმეს
და არ ჩაიგდება თავს სხვა ვისმე გავ-
ლენის ქვეშე.»

თუმცა აქამდის ლაპარაკობდენ,
რომ ბლადსტონს გადაწყვეტილი აქვს
სრულიად დასტოვოს პოლიტიკური
სარბიელიო, მაგრამ ეხლა ლონდონე-
ლი კორესპონდენტი ერთი ბელგიურ
რის გაზეთისა სარწმუნო წყაროდამ
ტყობულობს, რომ ყოფილს მეთაურს
ინგლისის სამინისტროისას კვლავაც
ჰსურს არ დასტოვოს მეთაურობა
ლიბერალური დასისა და მართოს
ეს დასი მომავალ ამორჩევამდის
მაინც.

კონსერვატიული გაზეთები იწერე-
რებიან, რომ თ-ღმა ბისმარკმაც ხელი
შეუწყო, სხვათა შორის, ბლადსტო-
ნის სამინისტროს გადაყენებასა და
ერთის მხრით ბერმანის განცლების
წადილიც ეყო, რომ მეთაურობა ტო-
რიებს ჩაბარდათ. ლიბერალური
(ბლადსტონის მომხრენი) გაზეთები
გაკვირვებულნი არიან, რომ კონსერ-
ვატივები წამოუწიოთლებლად, დაურ-
ცხვენელად აცხადებენ ამ გარემოებას.
რა სასექადულოაო, რომ ინგლისის
სამინისტროს მეთაური რომელიმე
გარეშე სახემწიფოსი, თუ სახემწიფო
კაცის ნებით ირჩეოდენო—ამბობენ
ლიბერალები. მანა სამინისტროს კრი-
ზისი მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ
ამით ესამოენებინათ ბისმარკისათვი-
სო?

მარკიზ სალისბიურიმ ხელთ იპყრო
თუ არა სამინისტროს პორტფელი, მა-
შინვე განაცხადა დეპუტატთა პალატა-
ში სურვილი, რომ მისს სამინისტროს
არ აღმოსჩენოდენ მოწინააღმდეგენი;

ლელმა ახალ-გაზდა გლეხმა თვალი
მოჰკრა ცეცხლს და გაემურა სახლი-
საკენ.

«სალომე ეხლა ცოტა გონს მო-
სულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ იმ ზო-
მამდე გაბრუებული იყო, რომ თვის
საშიშს მდგომარეობას ვერ ჰგრძობ-
და: ის ეგდო კარის წინ და უაზროდ
შესცქეროდა გამაგებულს სტიქი-
ონს...»

«მთი წამიც კიდევ,—და ორთა-
ვენი, სალომეც და ლუკაც გახდებო-
დენ მისი მსხვერპლნი, რომ გამე-
ლელს მეზობელს დროზე არ მოესწ-
რო: მან სტაცა ხელი, მძლავრის
მკლავებით ასწია სალომე, თან ლუ-
კაც გაიყოლა და სახლის მოშორებით
დასვა.»

— აქ იყავ, სალომე, სული მოი-
ბრუნე... მე კი ვეცდები რამე გადა-
ვარჩინო ცეცხლისაგან. ამ სიტყვებ-
ზე ის გამობრუნდა და შიგ სახლში
შესვლა მოინდომა, მაგრამ ეს შეუძ-

ესეთს განცხადებას სწორის თვლით
ვერ შეხედეს ბევრ წევრთ და გაიფიქ-
რეს, რომ ეტყობა, ახალი სამინისტ-
რო მტკიცე საფუძველზე ვერა გაძნობს
თავის თავს და მხოლოდ შემთხვევით
ჩაუვარდა მას მეთაურობაო მომავალ
ამორჩევამდის მაინც, გვაცალეთო—
უთქვამს სალისბიურის. ამორჩევებამ-
დის ხუთი თვეა კიდევ (ნოემბერში იქ-
ნება) და ამ ხუთ თვეში, თუ მართ-
ლა ოპოზიცია არ გაუჩნდა ახალს
სამინისტროს, ვინ იცის, როგორ წა-
ვა საქმე.

მსაპინია. მქიმი შერანი საკვირვე-
ლებას ჩადის მსაპინიაში. სამას ორ-
მოცდა-ორ კაცში, რომელთაც ამ
ექიმმა აუცრა ზოლერა, გამხდარა
ზად მ. და მომკვდარა მხოლოდ ერ-
თი. ზოლერა გასულ წელსავით ზვიად-
დებდა მსაპინიაში. მართს მაზრაში მომ-
კვდარა სამოკვამდე კაცი. მოსამზღვრე
სახელმწიფოთანი კარანტინებს მართვენ.
მქიმს შერანს მაზრიდამ მაზრაში იტა-
ცებენ და სადაც შიღის, დიდ იმედად
ხდება ხალხისათვის, რომელიც აღ-
მერთებს მას თითქმის.

იტალია. ლონდონელი გაზ. «Pall-
Mall»-ის რომის კორესპონდენტის
სიტყვით ამა ინგლისის პირველს რიც-
ხეებში მატკანში მისელიათ პეტერ-
ბურგიდამ ტელეგრაფა, რომლითაც
მატიკანს აცნობებდენ, რომ პეტერ-
ბურგის კაბინეტს ჰსურს კვლავ გა-
მართოს დიპლომატიური მოლაპარაკე-
ბა რომის კურიასთან. მს მოლაპარა-
კება კარგა ხანია რაც ოფიციალოუ-
რად აღარა ჰსუფევს პეტერბურგის
კაბინეტისა და მატკანის შორის. მხ-
ლა ხსენებულს კაბინეტს ჰსურს განა-
ახლოს მოლაპარაკება, მაგრამ იმ
პირობით-კი, თუ რომის პაპა ინმარს
ყოველ ძალ-ღონეს და პოლშელ ეპის-
კოპოსებს მოაშლიენინებს ყოველ-გვარს
პოლიტიკურს აგიტაციას. მაგრამ სანამ
მატიკანში კარდინალს ლედოხოვსკის
(პოლშელთაგანია) არ დაუკარგავს ის

ლელელი იყო: ეხლა ცეცხლი უფრო
გაძლიერებულიყო, საშინელი გუგუნნი
გაჰქონდა ხვევით აქა-იქ ყავრის სახუ-
რაეი ამოეხეთქა და მის ალის ენებს
ქარი აქეთ-იქით არხედა... მთელს
არე-მარეს კომლი მოედო... შველის
იმედი აღარ იყო... ამასობაში მეზო-
ბლებიც მოცივდენ... ღედა-კაცებმა
სალომეს მიაშურეს, ზოგი ამხნევებდა,
ზოგი ანუგეშებდა, მამა-კაცებმა სხვა-
და-სხვა ჭურჭლებით წყლის ზიდვა და-
იწყეს და ცეცხლ მოკლებულს სახლს
ასხამდენ... მაგრამ ვერა გააწყეს. რა:
ცეცხლი უფრო-და-უფრო ბრაზდებო-
და და ნაპერწკლებს ისროდა... ამას-
თან კიდევ ქარმაც იმატა..

«დაიწვა სალომეს სახლი... ხალხი
კარგა ხანი იღდა აქ, სანამ ცეცხლი
სრულიად არ დაწვდა და სალომეს
სახლისაგან არ დარჩა მხოლოდ ფერფ-
ლი და აბოლებული მუგუზლები.

(გაგრძელება იქნება)

გაველენა, რაც დღესა აქვს მას, — პაპა ლეონი ვერ იკისრებს პეტერბურგის კაბინეტის მოთხოვნების აღსრულებას, თუმცა იმას ჰსურს ამ კაბინეტთან განახლოს დიპლომატიური დამოკიდებულება. ამასთანავე კათოლიკეთა სასულიერო წოდება იმდენად გამსჭვალული არის პოლიტიკურის აგიტაციით, რომ ვერაერთად რჩევა, ხეწნა, თუნდა მუქარაც პაპისა ვერას გახდება, ვერ ალაგმავს მას. ამის მაგალითი ირლანდიაშია ი.ე. რომელიც ირლანდიელი ეპისკოპოსები გაიყლიეს პარლამენტებმა — ინგლისის მთავრობამ მიმართა პაპს და სთხოვა გონზედ მოეყვანა სასულიერო წოდების პირნი, რომელნიც ანარჩისტებს, რევოლუციონერებს ამოუდგენ გვერდით. პაპამ მოიხმო ირლანდიელი ეპისკოპოსები, გააკრიტიკა ისინი და გაისტუმრა ისევ ირლანდიისაკენ. და რა მოხდა? ირლანდიელი ეპისკოპოსები დაბრუნდნენ შინ, მაგრამ პარლამენტებთან კავშირის გაწყვეტას არც კი ჰფიქრობენ

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

იენისის 11-ს

ლონდონი. გაზეთი «Standard»-ი ამბობს, რომ ღებურალებს და კონსერვატორებს შორის თანხმობა ჩამოვარდა. გლადსტონს არ უნდა არავითარანს შიშით შეეპრას თავის თავი და არა ყოველს კონსერვატორების წინაშე დაჰყვება იგი, მაგრამ შიშობას იძლევა, რომ საზოგადოება ახალი სამინისტროს წინააღმდეგია არ იქნება, სანამ აწინდელი პლატების სესია არ გათავდება. კონსერვატორების გაზეთებში ახალი სამინისტროს საც გამოაცხადეს. ეს სია თითქმის იგივეა, რაც ამას წინადა იყო დაბეჭდილი.

პეტერბურგი. დღეს დაბეჭდა სახელმწიფო რჩევისაგან დაშტრეტირებული წესდება სამსჯავრო-სწავლების შემოღებისა. ამ წესდებას ეწევა ძალა 1 ივლისიდან 1885 წ.

დღესვე დაბეჭდა სახელმწიფო რჩევის განკარგულება: 1) აუკრძალეს ღამით მუშაობა მცირე წლოვანებს და ქალებს ყოველს ფაბრიკებზე, საფაბრიკოებზე და მანუფაქტურებზე, 2) შეიკრძალოს მაგარი სასმელების ვაჭრობის რაგო. უნდა დაწესდეს (მაწრის, სასმელთა საქმეების პრისუტსტოე), მაწრის წინამძღოლის თავს-მჯდომარეობით და ამ გვარზე გუბერნიის «პრისუტსტოე», გუბერნატორის თავს-მჯდომარეობით. ეს ახალი კანონი შემოღებულია იქნება 1886 წლიდან.

იენისის 12-ს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა გრაფინოში ცეცხლისაგან დაზიან-

ნებულებს თავის საკუთარი ფულიდან 25,000 მან. შესწირა.

ნება-დართულად გამოაცხადეს 10 მილიონი მანათის დამატებითი სახელმწიფო მოწოდებანი გლეხთა საადგილ-მამულა ბანკისა.

ლონდონი. სადისბურამ იგისრა კაბინეტის შედგენა.

ალექსანდრია. შემო კვიპტიდამ დაბრუნებულს ინგლისის სამს ზოგეს კერძანა დროებით ალექსანდრიაში გაჩერება.

ბირჟა

პეტერბურგი იენისის 11.

100 მანათის კურსი სამის	თვით ღონდონზე	— 24 ⁵ / ₁₆ 24 ¹³ / ₃₂ 24 ⁵ / ₁₆
100 მანათის კურსი სამის	თვით ჰამბურგზე	— 206 ⁷ / ₈ 208 207 ¹ / ₄
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზე	— 256, 256 ¹ / ₄ 256
პოლიმპერიალეები	— 8 მ. 12 პ. გაუ.	
ტომოუნის კუპონები	— 8 მ. 14 პ. გაუ.	
გვესტლის მანათი	— 1 მ. 29 პ. გაუ.	
ბირჟის დისკონტი	— 6 და 6 ³ / ₄ %	
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	— 99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 ³ / ₄ მ. გაუ.	
მესამე გამოცემისა	— 97 ¹ / ₂ მ. გაუ.	
მეოთხე გამოც.	— 97 მ. 37 პ. გაუ.	
მეხუთე გამოც.	— 97 ¹ / ₂ მ. გაუ.	
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან.	— 95 მ. 12 პ. გაუ.	
მეორე გამოც.	— 95 მ. გაუ.	
მესამე გამოც.	— 95 ¹ / ₄ მ. გაუ.	
5% მომგები ბილეთები	I შინაგანის სესხისა	— 225 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები	II შინაგანის სესხისა	— 202 ¹ / ₂ მ. გაუ.
ოქროს რენტა	— 169 ¹ / ₂ მ. გაუ.	
თბილისის საადგილ-მამულა ბანკის გირავნობ. ფურცლები	—	
ქუთაისის საადგილ-მამულა ბანკის გირ. ფურც.	—	

ცნობანი

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვიდამდე 1885 წ.

გამომცხვარი ზური რუსეთის ფუქილისა	— 1 გირ. 5 პ.
აქაურის ფუქილისა: პირველის სარისისა	— 1 გ. 2 ¹ / ₂
მეორისა	— 1 გ. 2 პ.

იმბავე ფუქილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისისა	— 1 გ. 4 ¹ / ₂
მეორისა	— 1 გ. 3 პ.
მესამისა	— 1 გ. 2 ¹ / ₂

ჯავარის-მამის ზური:

პირველის სარის ლავაში	1 გ. 4 ¹ / ₂
მეორის სარის. ლავაში	1 გ. 3 ¹ / ₂
მესამისა	— 1 გ. 3 პ.

ძროხის სორცი:

პირველის სარისისა	— 1 გ. 8 პ.
მეორისა	— 1 გ. 7 პ.
სუკი	— 1 გ. 15 პ.
ცხვარის სორცი	— 1 გ. 9 პ.

ღარის სორცი:

პირველის სარისისა	— 1 გ.
მეორისა	— 1 გ.

რძინის ვზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით. ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით. ბაქოდან თბილისში შემოდის 8 საათ. დილით. თბილისიდან სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს. სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით

განცხადებანი

დაიბეჭდა სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმელო საწმინთობისა.

შედგენილი მ. ნესტორ უსტუ.

ქმ: ჭილაძეების წიგნის მალაზია

ქუთაისში.

ისეი დება: ეოველ-გარბი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებული ეოველ სასწავლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიული.

სამწერლო (კანცელიაროული) მოწყობილებანი და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარანდაში, რეჟულები სხვა და სხვა წერისათვის.

ყოველივე კლიერ იავად

ესთხოვთ ბ. ბ. შედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის ძროხის სასწავლებელთა დროით გაცნობთან — რა და რა სახელმძღვანელონი იქმნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შეუდგეთ იმ სახელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—1)

ხვედურათის მაღნის წყაროები

ამა წლის იენისის 10-დამ დასრულდა მოწყობა აბანოებისა; წყაროებზე შეიძლება იქონიოთ საკმელ-სასმელი და სხვა გვარი მორთულობა, გარდა ლოგინის თეთრეულისა.

ნომერი მოსამსახურით და ორის უნით დღეში — 2 მან. 50 პ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქარელის სტანციაზე თ-ღს ავალი-შვილს.

(3—1)

თბილისის საქალაქო გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა იენისის 18-ს, შუაღლისას, გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა იჯარით ვაცემისათვის საქალაქო სახლზე (გოლოვინის პროსპექტი ადრე შიოვეის სახლი) საღურგლო, სახურავის და სახურაო მუშაობის შესასრულებლად. ანგარიშისა და პირობათა გაცემა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 1-მდე გარდა კვირა-უქმისა.

(3—1)